№ 263 დეკემბერი 11, ოთხშაბათი 1891 დეკემბერი 11, ოთხშაბათი № 263

ივერია

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 11 დეკემბერს,
საბენეფისოდ გ. ა. ავალოვისა
ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება
ბ-ნ ყიფიანის და სვიმონიძის მონაწილეობით
სამშობლო
ისტორიული დრამა 5 მოქმედ. თავ. დ. გ. ერისთავისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ავალოვისა, საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, არლანისა, აგიევისა, ბ-ნი აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, განდელაკი, შათირიშვილი, კიგნაძე, ცაგარელი, ადამიძე, იანქოშვილი, ტარიელოვი, თამაზიშვილი, გუნია და სხვ.
ადგილების ფასი საბენეფისოა.
დასაწყისი სწორედ 7 საათზედ.
შემდეგი წარმოდგენა იქნება კვირას, 15 დეკემბერს.
რეჟისორი ნ. ავალიშვილი. ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში
ვალერიან გუნიას მიერ შედგენილი
1892 წლისთვის
საქართველოს კალენდარი
დასურათებული მრავალის სურათებით
ფასი 45 კაპ.
ჯიბის წიგნი 1892 წლისათვის
მშვენიერის ყდით და ყარანდაშით
ფასი 40 კაპ.
სახალხო კალენდარი
მრავალ გვარ საჭირო ცნობებით
ფასი 10 კაპ.
უმთავრესი საწყობი ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში
წიგნის მოვაჭრეთ დაეთმობათ ჩვეულებრივი პროცენტი
დაწვრილებითი ცნობათათვის მიჰმართონ ქართვ. ამხან. წიგნ. მაღაზიას.

„ივერია"

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

მოუსავლობა რუსეთში და ჩვენი მხარე

აუწერელია ის უბედურება, რა უბედურებაც წელს რუსეთს ეწვია სიმშილის გამო. კაცი ცვიფრდება, როდესაც ჰხედავს, თუ რა პურსა სჭამს უქონლობის გამო ეხლა ზოგიერთს დამშეულს ადგილებში უსაშუალო ხალხი; ეს პური სილა-გარეულს მიწას უფრო ჰგავს, ვიდრე ნამდვილს პურს. როდესაც გამოიკვლიეს ამ გვარი პურის ვითარება, აღმოჩნდა, რომ თითქმის სრულიად ნოყიერებას მოკლებული და დიდად მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ჟურნალ-გაზეთების რედაქციები და საზოგადო დაწესებულებანი სხვა-და-სხვა დამშეულს კუთხეებიდგან მუდამ იღებენ იმ პურის ნიმუშებს, რომლითაც დამშეულნი ჰსაზრდოობენ. სიმშილის გამოვე გაჩნდა ავადმყოფობა (ГОЛОДНЫЙ ТИФЪ). იყო აგრეთვე რამდენიმე შემთხვევა პირდაპირ სიმშილის მიზეზით ხალხის დახოცვისა. ღარიბ-ღატაკი გლეხობა თითქმის უფასოდ ჰყიდის პირუტყვ-საქონელს საკვებავის უქონლობის გამო ან არა და თვით თავისის ხელით ჰკლავს, რათა იგი უჭმელობით არ ამოუწყდეს. კიდევ ბევრი სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა წელს რუსეთში ჩამოვარდნილს სიმშილს და მომავალში, უეჭველია, სხვა ახალი უბედურებაც ზედ დაემატება. მაგრამ რადა ბევრი გავაგრძელოთ, რუსეთში ჩამოვარდნილი სიმშილი ეხლა იმდენად ცნობილი და აშკარა საქმეა, რომ მის მნიშვნელობისა, მის მავნე შედეგის შესახებ ვრცელი ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია. ამიტომ შევუდგეთ პირდაპირ იმ საგნის გარჩევას, რომელმაც ეს წერილი გამოიწვია.

როცა შიდა რუსეთში ასეთი ამბავია, სწორედ ამ დროს ჩვენში რაღაც განგებით ვხედავთ სრულიად სხვა გარემოებას. ყველას ეცოდინება, თუ რა უხვი მოსავალი მოვიდა საზოგადოდ მთელს ჩვენს ქვეყანაში: ღვინისა, სიმინდისა, პურისა (მეტადრე სიმინდისა ჩრდილოეთ კავკასიაში) და სხ.. ეს ამბავი, რასაკვირველია, დიდად სასიხარულო და ყოველთვის დიდად სანატრელია და, შეიძლება, იშვიათიც იყოს ჩვენთვის. მაგრამ, თუ მივაქციეთ ყურადღება წლევანდელს რუსეთის მდგომარეობას, ეს გარემოება ერთი-ორად მეტს მნიშვნელობას ჰპოულობს, ვიდრე ექმნებოდა საქმეთა ჩვეულებრივ მიმდინარეობაში. ჩვეულებრივ მოსავლიანს წელს ჩვენ თითქო უმეტესად მარტო ჩვენს თავს ვემსახურებით, წლევანდელს შემთხვევაში-კი ჩვენ, ჩვენგან დამოუკიდებლად, ორს კეთილს საქმეს ჩავდივართ: ჩვენს თავსაც ვეწევით მით, რომ სიმდიდრეს ვიძენთ ჩვენის მოსავლის ნაყოფის გასაღებით და სხვასაც ამ გაჭირებულს დროში ვეხმარებით, ხელს ვუწვდით. განა შემწეობა არ არის ის, რომ საზრდო შეგვიძლია მივაწოდოთ ახლოდამ ხალხს იმ დროს, როდესაც იგი ხალხი უკიდურესს მდგომარეობაშია? განა ბედნიერება არ არის ის ამბავი, რომ, როგორც აღმოაჩინა სხვა-და-სხვა სტატისტიკურმა ანგარიშებმა, ამ ბოლოს დროს, რუსეთში დარჩენილი პური, საზღვარ გარედ გატანის აღკრძალვის შემდეგ, არ იკმარებს მეორე მოსავლამდე, თუ სხვა-და-სხვა საშუალებით, როგორც პურის სხვა-და-სხვა სუროგატებით, თუ სხვა კუთხეებიდგან, მაგალითად, კავკასიიდგან, და ციმბირიდგან პურის მიტანით რუსეთის შიდა გუბერნიებში არ შეივსო ეს ნაკლი? ამისთანა გარემოებაში კავკასიას, სხვათა შორის, დიდი სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს რუსეთს. წარმოიდგინეთ, რომ კავკასიასა, ციმბირსა და რუსეთის სხვა ქვეყნებშიაც, სადაც წელს მოსავალი მოვიდა, მოუსავლობა ყოფილიყო. მაშინ რუსეთი ხომ უფრო დიდს გაჭირვებაში ჩავარდებოდა — ფული მართლა ხომ არასფერს უზამდა დამშეულ გლეხობას, როდესაც საყიდელი არა იქნებოდა-რა არსად რუსეთში. დარჩებოდა მაშინ მხოლოდ ერთი საშუალება. უნდა დაებარებინათ სხვა, დაშორებულს ქვეყნებიდამ, როგორიც არის, მაგალითად, ინდოეთი, ამერიკა და სხვ., ეს-კი ძლიერ ძვირად დაუჯდებოდა რუსეთს. აი რა მიზეზის გამო ერთი-ორად დიდი მნიშვნელობა აქვს მოწოდებულს საზრდოს ისეთის სიახლოვიდგან, როგორიც კავკასიაა რუსეთისათვის.

ვიმეორებთ, არის ხოლმე იმისთანა შემთხვევა, როდესაც ფული არის და საყიდელი არ არის, აი ამ გვარი მდგომარეობაა მეტად საშინელი. წლეულს კავკასიაში, ციმბირში და ზოგიერთ სხვა ადგილებში დიდი მოსავლის წყალობით ამ მდგომარეობას აცილებულია რუსეთი: ეხლა საჭიროა დამშეულ გლეხობისათვის ფული — იარაღი პურის სყიდვისა, პური-კი ძვირად იქნება თუ იეფად, მაინც მოიპოვება. მაშასადამე, თვით ერთი ის გარემოება, რომ რუსეთის დამშეულ გუბერნიებს, ოღონდ-კი საშუალება ჰქონდეთ, შეუძლიანთ იშოვონ, მაგ., კავკასიაში პური, სიმინდი და სხვა საზრდო, თვით ერთი ეს გარემოება, ვამბობ დიდი წყალობაა, ბუნების დიდი ჯილდოა, ბედნიერებაა ჩვენთვისაც და რუსეთისთვისაც, რადგანაც ერთ დროსვე, როგორც ვსთქვი, ერთის მხრით ხელს ვუწყობთ რუსეთსა და მეორე მხრით ამ ხელშეწყობით ჩვენ თავსვე ვეწევით, სიმდიდრეს ვიძენთ.

როგორც თქმულიდამ სჩანს, კეთილი ნაყოფი უნდა მოეტანა ჩვენს წლევანდელს მოსავალს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ სულ სხვა ვითარებასა ვხედავთ: ჯერ არც რუსეთი სარგებლობს ჩვენის ბუნების საჩუქრით და არც ჩვენ ვწევივართ ჯერ რაიმე ბედნიერებას მით, რომ მოსავალი კარგი მოგვივიდა; და არამც თუ ბედნიერებას, არამედ შეიძლება ითქვას, უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაშიც ჩავარდით, ვიდრე ვიმყოფებოდით მაშინ, როდესაც ჩვენ ან მცირე, ან საშუალო მოსავალი მოგვდიოდა; ამ მდგომარეობაში-კი ჩავარდით იმიტომ, რომ რუსეთის მოუსავლობამ ცუდად მოაწყო ამ მხრით ჩვენი საქმე.

ვიტყვი რამდენსამე სიტყვას ჯერ იმის გამო, თუ რა არის მიზეზი, რომ რუსეთი ჯერ-ჯერობით ვერ სარგებლობს ჩვენის სიმდიდრით. ჩვენის სიმდიდრის მოუხმარებლობის მიზეზი არის საქმის მოუწყობლობა, მისი გამოურკვევლობა, ადმინისტრაციის მიერ საქმისათვის ერთის მიმართულების, მტკიცე ორგანიზაციის მიუცემლობა და არა ის, რომ ვითომ რუსეთში გაჭირვება არაა და ამიტომ ჩვენი მეტი პური-სიმინდი მისთვის საჭირო არ არის. ეს ტყუილი აზრია. გაჭირვება რუსეთში დიდი და გამოუთქმელია. იმისთანა გაჭირვებაა, რომელიც ას წელიწადში ორჯერ-სამჯერ თუ ეწვევა ამისთანა ქვეყანას, თორემ მეტად არა. უეჭველია, გაივლის კიდევ ცოტაოდენი დრო და, როდესაც მოთხოვნილებაც თავისას იზამს, საქმეც თვითონ მოეწყობა, ასე რომ ჩვენის მხრიდამაც დაიწყებენ საზრდოს ზიდვას. ასე იქნება თუ ისე, ჩვენ, მაშასადამე, უნდა მოველოდეთ იმ წამს, რომელიც, ვფიქრობ, მალე დადგება იმ წამს, როდესაც რუსეთი ჩვენს მხარესაც მოჰმართავს და იწყებს წლევანდელის ჩვენის მოსავლით სარგებლობას. ასეა საქმე რუსეთში; ეხლა გადავხედოთ ჩვენს მხარესაც.

ჩვენში, როგორც ზემოდაც ვსთქვი, პურს, სიმინდს და სხვა ჰირნახულს ჯერ-ჯერობით არსაით გასავალი არა აქვს და ამიტომ ადგილობრივვე რჩება: არ შემოაქვთ არც შიდა რუსეთში და არც გააქვთ საზღვარ გარედ, რადგანაც საზღვარ-გარედ გატანა აღკრძალულია ამ მოკლე ხანში გამოცემულ განკარგულების ძალით. მაშ როგორ ვხმარობთ ჩვენს ჰირნახულს? ან როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ღვთისაგან ბოძებული სიმდიდრე რიგიანად, გონივრულად გამოვიყენოთ?

რაც შეეხება პირველს საკითხს, უნდა ვსთქვა, რომ ჩვენის სარგებლობის ჩვენ მიერ შეუგნებლობას აქაც უჩენია თავი. ვეცდები ეს აზრი განვმარტო.

მთელს ქუთაისის გუბერნიას, ესე იგი იმერეთ-გურია-სამეგრელოს, სადაც მკვიდრნი უმთავრესად სიმინდით სცხოვრობენ, წლევანდელს დიდს მოსავლიანობის კვალი ჯერ არაფრად დასტყობია და შემდეგშიაც არ დაეტყობა, თუ საქმე ისე იქმნება მომავალშიაც მოწყობილი, როგორც ეხლაა. თურმე ნუ იტყვით, ჩვენს სოფლებში ხმებს ავრცელებენ ზოგიერთი „კეთილის-მყოფლები", რომ რუსეთში ჩამოვარდნილის სიმშილის გამო მთავრობა სოფლის მცხოვრებლებს ძალით, უფასოდ გამოართმევს სიმინდის ფქვილსაო, რომ თვით რუსეთი სოფლელებისაგან არაფერს იყიდისო, რომ საზღვარ გარედ გატანა ჰირნახულისა დიდის ხნობით არის აღკრძალულიო, და ასე, ამ გვარად, სოფლელნი დიდს ზარალში ჩავარდებიან, თუ არ დააჩქარეს და, როგორც იქმნება, იმ ფასად არ გაასაღეს თავისი ჰირნახულიო. მართლაც, ამ საშუალებით სოფლის მკვიდრთა შორის გამოწვეულ შიშს გაუჭრია: საბრალო ღატაკი გლეხობა, რომელსაც მუდამ ფული ეჭირვება, მცირე, უმნიშვნელო ფასად, ფუთს სიმინდს აბაზ-ხუთ შაურად ჰყიდის იმას, რაც-კი შესძინა ახალმა უხვმა მოსავალმა, ასე რომ ეხლა ერთი-სამად და ოთხად ნაკლებ მოგებას იღებს, ვიდრე საშუალო მოსავლიან წლებში. შარშან, მაგალითად, რასაც ერთის ფუთიდამ იღებდა მოგებას, ამისათვის წელს ოთხ ფუთამდე აძლევს მსყიდველს. მერე მსყიდველი ვინ არის? რუსეთში სიმინდი, პური ამიერ-კავკასიიდამ ჯერ ხომ არ გააქვთ, საზღვარ გარედაც აღკრძალვის შემდეგ მოისპო გატანა. ამ გვარად ჩვენის სიმინდის მსყიდველებათ აღმოჩნდნენ ყოველ ამ გვარ შემთხვევებში ყურდაცქვეტილნი სოფლის ჰამია-ჩარჩები, ესე იგი, ხალხის სულ მცირე ჯგუფი, რომლის კეთილდღეობა ხალ-

ხის კეთილდღეობას არ ჰნიშნავს და რომლის გამდიდრება მავნებელიც არის ხალხისათვის, რადგანაც მისი სიმდიდრე ხალხის გალატაკებაზედ არის დამყარებული. ამ სახით, ჩარჩების ხელში სიმინდის გარდასვლის გამო ჰზარალობს რუსეთი, რომელიც შემდეგ, უეჭველია, ისევ ჩვენს სიმინდს მოჰმართავს; ჰზარალობს იმიტომ, რომ იძულებული იქნება შემდეგში ერთი-ორად ძვირად იყიდოს ჩარჩებისაგან მათ ხელში მოგროვებული ჩვენი სიმდიდრე; პირდაპირ მხვნელ-მთესველთაგან რომ ეყიდნა-კი რუსეთს, მაშინ იმდენს არ იზარალებდა, რადგან მხვნელ-მთესველი მუდამ უფრო იაფად ჰყიდის თავის ჭირნახულს, ვიდრე დალალი და ჩარჩი, რომელმაც ამ დალალობითა და ჩარჩობით უნდა იცხოვროს. ასეთის გარემოების გამო, ჰზარალობს აგრეთვე ჩვენი ქვეყანაც. ჩვენს ხალხს ჰგონია დღეს, რაკი მუშტარი არსად არის ჭირნახულისა, სულ ასე იქნება წელსაო, ოხრად დაგვრჩება ნაწვავ-ნადაგი და ბარემ ავიღებ და იეფად გავყიდითო. ამის გამო ხალხს სჯერა ათასი ცრუ და მისთვის საზარალო ხმა, ვითომ, თუ არ გაჰყიდე, მერე გამოგართმევენო. ისიც იღებს და სჩქარობს გაყიდვას როგორმე, თითქმის უფასოდ, ოღონდ-კი სიმინდი გაუსაღებლობის გამო, ანუ უბრალოდ არ დამილპეს, ან და ძალით არ გამაყიდვინონო.

ასეა საქმე საქართველოს მეორე ნაწილშიც—ქართლ-კახეთში, სადაც სიმინდის მაგიერ, უმთავრესად პური და ღვინო მოდის მრავლად. აქაც სცენაზედ იმავე ჩარჩებსა და სირაჯებს ვხედავთ, აქაც იგივე მეტის-მეტი სიეფე მეფობს. აქაც მკვიდრი ვერ მაგრობს, ვერ მიდის იოლად დრომდე, ვერ იცდის, რომ კარგ ფასად გაჰყიდოს თავის ოფლით მოგებული და მოყვანილი.

აი ასე ბედოვლათად მიგვყავს ჩვენი საქმე ასეთის იშვიათის მოსავლის დროს! ასე ბედოვლათად ვღუპავთ ჩვენის ბუნების დიდსა და უხვს ჯილდოს! ასე უკუღმართად და უბედურად მოწყობილა ის გარემოება, რომელიც შესაძლებელი იყო სახეიროდ გამოგვეყენებინა! მაშ ეხლა რაღა დაგვრჩენია, რომ ბუნებისაგან მოცემული სიმდიდრე უფრო გონიერად, უფრო სარგებლიანად გამოვიყენოთ, ვიდრე დღეს ვიყენებთ? რა არის ამის წამალი? ჩვენის აზრით, წამალი სულ უბრალოა: თუ სოფლის მკვიდრთ გაუგებრობისა და უმეცრების გამო თვით არ ესმით თავისი მდგომარეობა, საჭიროა, მაზრის უფროსები, სოფლის მეთაურები, სოფლებში გაფანტული ინტელიგენცია, სასულიერო წოდება არიგებდეს ხალხს, რომ ნუ სულ-სწრაფობს და ნუ მიჰყიდის თავისს ჭირნახულს ჩალის ფასად ჩარჩ-სირაჯებს და დალალებს, რადგან ადრე იქნება თუ გვიან, რუსეთის დამშეულ ადგილებისათვის დაიწყებენ ამიერ-კავკასიიდამაც სიმინდ-პურის გატანას; მაშინ შეიძლება უფრო მეტს ფასად გაყიდვა ჭირნახულისა და ეს გარემოება დამშეულთათვის სასარგებლო იქნება და ჩვენის ხალხისათვისაც, ესე იგი გამყიდველისათვისაც და მყიდველისათვისაც. მაშესადამე, საჭიროა შეინახოს ჩვენმა სოფლის მკვიდრმა მხვნელ-მთესველმა მოსავლის ნაყოფი დრომდე, იმ დრომდე, ვიდრე ნაწილი რუსეთს მიეწოდება, ან თუ, ვსთქვათ, რუსეთს არ დასჭირდება, მაშინ, უეჭველია, საზღვარ გარედ გატანის ნებას კვლავ დაგვრთავენ, ნაწილი-კი უნდა შენახულ იქმნას თვით მკვიდრთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სამერმისოდ, როცა, შეიძლება, წლევანდელისთანა კარგი დარი არ დაგვიდგეს და ჩვენი ხალხი გაჭირვებულს მდგომარეობაში და სიმშილში თვითონ ჩავარდეს მოუსავლობის გამო. შესანახავად-კი კარგი იქნება სოფლებში საწყობ-ელევატორები გაიმართოს.

თუ ეხლავე არ მივეშველეთ ჩვენს ხალხს, მალე გამოეცლება ხელიდამ ყოველივე და ჩვენ ვეღარას მოვეწევით. სინანული და გოდება მერმე-ღა ჩვენ ვერასფერს დაგვიბრუნებს და საქმეს ვეღარ გამოაკეთებს. მაშ როდისღა უნდა შევიმატოთ რამე, როდის-ღა უნდა დაგვეტყოს ეკონომიური წარმატება, თუ არ იმისთანა დროს, როგორიც წელს არის? ხალხი თუ მაშინ არ შევიდა მცირეოდენს სიმდიდრეში, როცა ბუნება ასეთს უხვს და კარგს მოსავალს იძლევა ყველაფრისას, მაშ როდის-ღა?! თუ ვეცდებით, თუ გავირჯებით, სწორედ დღეს შევგიძლიან, რუსეთსაც ვარგოთ და ჩვენს თავსაც; დამშეულთაც შემწეობა გავუწიოთ და ჩვენც ცოტაოდნად მაინც წელში გავიმართოთ.

გრ. გველესიანი

ქ. მოსკოვი.

ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ გამოცემული „კრილოვის არაკები“, ნათარგმნი აკაკისაგან. წიგნში სულ 59 არაკია მოთავსებული, ძლიერ შნოიანად არის დაბეჭდილი და ჰღირს 30 კაპ.. როგორც წარწერიდგანა სჩანს, ამ წიგნის გამოცემის უფლება „წერა-კითხვის საზოგადოებას“ შეუძენია.

*** კვირას ტფილისის მეორე კლასსიკურს გიმნაზიას წლიური აქტი ჰქონდა. როგორც ანგარიშიდამა სჩანს, გიმნაზიას წარსულს სამოსწავლო წელს 53,583 მანათი დახარჯვია. აქტის დასასრულს კარგს მოსწავლეებს საჩუქრები დაურიგეს და სხვათა შორის შემდეგს ქართველს შეგირდებსაც: ი. ბერიძეს, ი. გომართელს, ა. ჯავახოვს, ა. თუმანოვს, გ. ჯავახოვს, გ. შაწშიევს, მ. ჯავახოვს და დ. კილოსაკიძეს.

*** წარსულს კვირას შეიტყეს, რომ სარაჯევის ქარვასლაში იურგენსისა და ამხ. კანტორიდგან 1,000 მანათი მოუპარავთ. ქურდებს ფულის კასსა გაუტეხიათ. გუშინ ღამის ყარაულზე მიიტანეს და დააპატიმრეს კიდეც.

*** 23 ნოემბრიდგან პირველ დეკემბრამდე ტფილისში ავად გახდა ყვავილით 3 კაცი და ორი მათგანი გარდაიცვალა; ყელჭირვებით—5 კაცი და ამათგანაც გარდაიცვალა ორი; ჩუტყვავილითაც 5 და გარდაიცვალა ამათგანაც კიდევ ორი.

*** ტფილისის ტრანსპორტის კანტორებში შევიტყეთ, რომ ნიჟეგოროდის იარმუკიდამ სულ 186,000 ფუთი საქონელი მოსულა ტფილისში. ამაში მეტი წილი ჩითეულობა და ტყავეულობა ყოფილა.

*** ამ წელს აგვისტოდგან, რაც შუაგულ რუსეთის გუბერნიებში სიმშილი ჩამოვარდა, კავკავის გზით სულ 257 დამშეული გლეხის ოჯახი ჩამოსულა ტფილისში. თვითეულს ოჯახში სამიდამ შვიდი სულია.

*** გუშინ-წინ, 9 ამ თთვისას, კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე ერევნის პოლკის პოდპოლკოვნიკის პირადოვისა, რომელსაც ჰბრალდებოდა მოკვლა იმავე პოლკის პორუჩიკის ნეკრასოვისა 7 ოქტომბერს ამა 1891 წ. სასამართლომ წინასწარ განზრახვის ბრალი ნეკრასოვის მოკვლაში აჰხადა ფირადოვსა და მიუსაჯა მხოლოდ ორის წლით ენისეისკის. გუბერნიაში ცხოვრება, სხვაგან წასვლის უნებოდ, და შემდეგ ორის წლით იქვე ცხოვრება მხოლოდ იმ უფლებით-კი, რომ შეეძლოს ციმბირის სხვა-და-სხვა ადგილებში წასვლა-წამოსვლა.

*** ყაზახის მაზრის სოფელს ცალაკანდში ყმაწვილებს ყვავილი გამოსჩენია.

*** ქვემოხვითი: (გორის მაზრა) ამ დღეებში ჩვენის სოფლის მახლობლად ვიღაცა ავაზაკებმა გაძარცვეს ცხინვალელი ვაჭარი ისხაკა ისრაილოვი და 45 მ. წაართვეს. საწყალს ვაჭარს ტანისამოსიც-კი გახადეს, მძიმედ დასჭრეს და ასე დააგდეს გზაზე.

*** ცხინვალი: ჩვენის დაბის მცხოვრებლებმა სიათაშვილმა და ჩაფურიძემ თავის მეზობელს დუქანი გაუტეხეს და ექვსი თუმანი გაიტანეს ფულად.

*** ხელთუბანი: (გორის მაზრა) ვიღაც ღამის რაინდებმა ღამე სახლი გაუტეხეს ამ კვირია გლეხს დათუნაიშვილს და ხუთის თუმნისა სხვადა-სხვა ავეჯი წაართვეს.

*** სოფ. ზაკურცისკ (სიღნაღ. მაზრა) 23-ს გიორგობისთვეს ძლივს გველირსა და მოგვივიდა მასწავლებელი ბ. შანშიევი. 25-ს გიორგობისთვეს დროებით დაქირავებული სასკოლო შენობის კარი გაიღო; აკურთხეს და პარაკლისი გადაიხადეს. კურთხევის შემდგომ მღ. მჭედლოვმა ორიოდე სანუგეშო სიტყვა წარმოსთქვა. ჯერ-ჯერობით მხოლოდ 27 მოწაფეა. ამათში 4 ქალია და 23 ვაჟი. რაც შეეხება თვით სკოლის შენობას და მის მოწყობილობას, მეტად სამწუხარო სურათს წარმოადგენს: გაულესავი და ფარდალალა კედელი, ოთახი უიატაკო, მიწური; შიგა სდგას ერთად ერთი დაობლებული, დაძველებული და დაობებული სტოლი, რომელზედაც შეიძლება მხოლოდ ექვსმა ყმაწვილმა მოახერხოს „დედა ენის“ დაწყობა, დანარჩენები დღეს იძულებულნი არიან ან დედამიწაზედ და ან ფეხდგომელებმა იკითხონ. კედელზედაც ერთი ასპიდის დაფა უკიდიათ. აი სულ ეს არის მთელი სკოლის შეძლება, ავლადიდება და სიმდიდრე. ფულად სკოლას აქვს დღეს 25 მანათი. სკოლის მრავალის საჭიროებას ეს მცირედი ფული აბარას გაუხდება. ვიდრემდის სკოლა დაარსდებოდა, ჩვენი საზოგადოება ნატვრობდა—როდის იქნება ვეღირსოთ სკოლის დაარსებასაო და აი ეხლა ხომ დაარსდა.

*** ხიდის თავი: (ოზურგეთის მაზრა): ნოემბრის 16 და 17 კინაღამ ერთი უბედურება დატრიალდა დაბა ხიდისთავში. თავი მოიწამლეს ერთმა ვაჟმა, გვარად ლომთათიძემ და დედაკაცმა მეუღლემ სერაფიონ კალანდაძისამ. 16 დედაკაცს მიუღია საწამლავი, 17 ვაჟს. სიკვდილს-კი ორივე გადარჩა. მიზეზი ყოფილა სიყვარული. ვაჟს ჰყოლია მამა შეძლებული და იმის ქონება სულ გაუქარწყლებია დროების ტარებაში. როცა მამას გაუგია, ამისთანა სიქმეს სჩადის შვილიო, დაუთხოვია. ვაჟიც რამდემისამე ხნით ჩამოსთხოვია დედაკაცს. დედაკაცს ჯავრი მოსვლია. ერთმანეთი უნახავთ და საქმე რომ გაუგიათ, რაშიც ყოფილა, დედაკაცს განუზრახავს თავის მოწამვლა და კიდეც აუსრულებია. რა ვაჟს გაუგია ეს ამბავი, იმასაც თავი მოუწამლავს.

*** გაზეთი „ნორ-დარი“ იუწყება შემახიის სომეხთა ეპარქირქიის მთავარ-ეპისკოპოსი მესროპი მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოების წევრად აირჩიესო.

*** 9 ამ თთვისას ეკკლესიის ქუჩაზე უეცრად გარდაიცვალა როსტოვის მცხოვრებელი 36 წლის ვერა აქსენოვისა.

*** ამავე დღეს ელისაბედის ქუჩაზე მცხოვრებელმა აზნ. ივანე დანილოვმა პოლიციაში წერილით გამოაცხადა, რომ ჩემმა მოსამსახურემ, რომლის გვარი არ ვიცი, 336 მან. ოქრო-ვერცხლეული მომპარაო.

ქალაქის საბჭო

9 დეკემბერს.

ამ კრებისთვის ქალაქის თავმა საგანგებო წერილითა სთხოვა ხმოსნებს, რომ უეჭველად მოსულიყვნენ, რათა განეხილად მოხსენება გამგეობისა მასზედ, თუ რამდენი ხარჯის გაწევა შეუძლიან იკისროს ქალაქმა პოლიციის შესანახად. თანხმად თხოვნისა, ხმოსანნი ბლომად დაესწრნენ. გამგეობის მოხსენებიდგან აღმოსჩნდა, რომ 1886 წ. სახელმწიფო საბჭომ დაადგინა: ტფილისის პოლიციას ეძლიოს წელიწადში 179,900 მანეთი, აქედგან 100,000 მანეთი იხადოს სახელმწიფო ხაზინამ, ხოლო 79,900 მანეთი ტფილისმაო, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ექვსის წლის შემდეგ ქალაქის თვით-მართველობამ ან სულ თვითონ იკისროს მთელი ხარჯი ტფილისის პოლიციას შესანახისა, ან მოუმატოს იმ ხარჯს, რომელსაც ეხლა იხდისო. სახელმწიფო საბჭოს განაჩენს ვადა უთავდება 1 ივლისს 1892 წელს, რომლის შემდეგაც ახალი ანგარიში უნდა იქმნას შემოღებული. ვადის მოახლოვების გამო, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოსთხოვა ტფილისის თვით-მმართველობას წარდგენა თავის მოსაზრებათა ამ საგნის შესახებ. ტფილისის გამგეობამ, დაჰხატა-რა თავის ვრცელს მოხსენებაში სურათი დღევანდელის საფინანსო მდგომარეობისა, რომელშიაც იმყოფება ქალაქის კასსა, ამბობს, რომ სავალდებულო ხარჯები დიდად მოემატა ტფილისსაო და თუ კვლავაც დაერთო რაიმე მომეტებული გადასახადი, ყოვლად შეუძლებელი იქნება დეფიციტებიდგან თავის გამოხსნაო. პირიქით, თუ დეფიციტები აქვს, ეგ იმიტომ-რომ ვერ შეუსრულებია მრავალი სავალდებულო ხარჯებიო და თვით ეგ პოლიციის გადასახადები წარსულის წლისა შეადგენენ უმთავრესს ნაწილს იმ დეფიციტებისა, რომელნიც ეხლა ამძიმებენ ქალაქის ეკონომიურს მდგომარეობასაო. მოხსენება, სხვათა შორის, შეეხება განხილვას იმისას, თუ კანონი რამდენს ხარჯსა სთხოვს ქალაქებს საზოგადოდ მთელს იმპერიაში, და შედარებით გამოჰყავს ის დასკვნა, რომ მაშინ-როდესაც სხვა ქალაქები იხდიან წლიურად $^{11}/_{35}$ ნაწილს პოლიციის ხარჯისას, ტფილისს ახდევინებენ $^{16}/_{35}$ ნაწილს, რაიცა შეადგენს ორიათასს თუმანზე მეტს, ვიდრე კანონი ითხოვს, და კვლავ მომატება უფრო განასხვავებს ამ მხრივ ტფილისის თვით-მმართველობას რუსეთის სხვა ქალაქების თვით-მმართველობისაგანაო. ამის გამო და მიხედვით იმ უიმედო ეკონომიურის მდგომარეობისა, რომელიც დაატყდა ქალაქის კასსას მრავალის ხარჯის წყალობით, ქალაქის გამგეობა ჰფიქრობს, რომ სახელმწიფო საბჭოს უნდა წარედგინოს სურათი ტფილისის საფინანსო ყოფა-ცხოვრებისა და მიერთვას თხოვნა, რომ მომატების მაგიერ დაკლებულ იქმნას ის გადასახადი, რომელიც ეხლა აწევს, და 79.900 მანეთის მაგიერ შეაწეროს 1892 წლის 1 ივლისიდგან 64.000 მანეთით.

შემდეგ მცირეოდენ ბაასისა, საბჭომ დაადგინა—მიენდოს გამგეობას ხსენებულ მოსაზრებათა წარდგენა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე.

სხვა საქმეთა შორის ღირსი იყო ყურადღებისა გამგეობის მოხსენება მასზედ, რომ ავლაბრის საძოვრები მიეცეს იჯარით ისევ ავლაბრის საზოგადოებას, რომელსაც აქამდე ეჭირა წელიწადში 2500 მანეთად. ვაჭრობის დროს ვინმე ხანდამიანცმა წარმოადგინა დაბეჭდილი კონვერტი, რომელიც გახსნეს და აღმოჩნდა, რომ იგი იძლევა წელიწადში 2502 მანეთს. გამგეობის აზრით, თუმცა ხანდამიანცი ორის მანეთით მეტს იძლევა, მაგრამ რადგან საზოგადოება, დიდი ხანია, რაც იჯარადარია ქალაქისა და ეხლავე ხარჯი გაუწევია ხვნათესვისა, ამიტომ ისევ დარჩეს საზოგადოებასაო. ხმ. სუნდუკიანცმა სთქვა, რომ ხანდამიანცს უნდა მიეცეს იჯარა, რადგან, კანონის ძალით, ერთის კაპეიკითაც რომ მეტს იძლეოდეს ვინმე, იმას უნდა დარჩეს იჯარაო. ქალაქის თავმა გამოაცხადა, რომ კანონი ქალაქის თვით-მმართველობას სრულს უფლებას აძლევს ამ შემთხვევაში თავისუფლებისასაო და ამიტომ, ვისაც გვინდა, იმას მივცემთ იჯარასაო. ხმ. მ. ვ. მაჩაბელმა წარმოსთქვა ის მოსაზრება, რომ ორის მანეთის და არც მეტის გულისათვის არ უნდა გავწიროთ საზოგადოება, რომელსაც მაგ ადგილზე უდვაწნია რამდენიმე საუკუნის განმავლობაშიო. თვით ეგ ორის მანათის წამატება გვაჩვენებს, რომ ხანდამიანცს შეუტყვია საზოგადოების გადაწყვეტილება—2500 მანეთი მივცეთო—ამდგარა და მოუმატებია ორი მანეთი,

რომ ვიდრე საზოგადოება ხელ-მეორედ მოილაპარაკებს, დაინარჩუნოს იჯარა მაგ მომატებით და მერე მთელი ეგ საზოგადოებავე მხნელ-მთესველებისა ხელში ჩაიგდოს. საბჭომ იჯარა დაუმტკიცა საზოგადოებას.

◆

„პატარა შენიშვნის“ სხოლიო

(ბ-ნ ნ. ავალიშვილის პასუხად)

წავიკითხეთ ბ-ნ ნ. ავალიშვილის, ქართულის თეატრის რეჟისორის, „პატარა შენიშვნა“ და, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდით. ფიქრად გაგვიარა, თუ ჩვენმა შემდეგმა რეცენზიებმაც ბ-ნ ავალიშვილის, შენიშვნა-კი არა, და მერე ისიც პატარა, მის მიერვე „ორიოდ სიტყვად“ წოდებული, მთელი პასუხი გამოიწვია, რა იქნება ის პასუხი, თუ ეს პატარა შენიშვნა ამ სიგრძე და ამ სიდიდეაო? მგონი მთელი ქართული დრამატიული დასი დასჭირდეს იმ პასუხის რედაქციამდე მიტანას. ამ ფიქრმა ისე შეგვაშინა, რომ სულ არ გავცემდით პასუხს, ის წერილი რომ ცოტა თავ-დაჭერით და მართებულად ყოფილიყო დაწერილი.

ჩვენს საპასუხოდ გამხდარს რეცენზიაში ვწერდით:

> „ერთი რამ შევნიშნეთ წარსულს წარმოდგენაზედ. როდესაც ფარსს არდგენდნენ და დარია ჭანჭურაძისამ მღერა დაიწყო, ამ დროს ქანდარაზედ ვიღაც კაცი იდგა და ხელებით ანიშნებდა იქ მყოფთ ტაშის დაკვრისა და შეწყვეტის დროს. პირველადა ვხედავთ ჩვენს თეატრში „კლაკიორებს“, აქამომდე არა ყოფილა და სასურველია არც ამას იქით შემოვიდეს ჩვეულებად. კიდეც ამას მიეწერება ის გარემოება, რომ ზოგიერთის არტისტის გალობის დროს ქანდარიდგან გახშირებული სტვენა მოისმოდა. მივაქცევთ თეატრის ადმინისტრაციის ყურადღებას და, იმედია, ეცდებიან ამ მავნე მოვლენის აღმოფხვრას“.

არავინ დაგვისახელებია „კლაკიორების“ დამქირავებლად და ვერც დავასახელებდით, რადგან საბუთი ხელთ არა გვქონდა-რა. მხოლოდ ისა ვსთქვით, რაც ჩვენც შევნიშნეთ და ჩვენთან ერთად ზოგიერთმა, თუ ბევრმა არა, სხვამაც, რომელთა ვინაობას, თუ საჭირო იქმნა, გამოვაცხადებთ კიდეც.

ბ-ნს ავალიშვილს ამ მავნე მოვლენის აღმოსაფხვრელადა და დამნაშავის აღმოსაჩენად მგონიაობისა და ალბადობის მორევში შეუტოპნია და „გამოუთეთრებია“, რომ რაკი დარია ჭანჭურაძისა ქ-ნი საფაროვისა იყო, ტაში იმისთვის დაუკრავთო. ქ-ნ საფაროვის ტაშის დამკვრელნი, რასაკვირველია, იმის მეტოქეს დაუსტვენდნენ და მეტოქე სხვა ვინ იქნება, თუ არ ქ-ნი ძნელაძეო. ამ გვარად „გამოდისო“, რომ „ქ-ნ საფაროვისას ხალხი დაუქირავებია, რომ მისთვის ტაში დაეკრათ და ქ-ნ ძნელაძისთვის-კი დაესტვინათო“. რაკი ასე „გამოუთეთრებია“ და „გამოუყვანია“ ბ-ნს ავალიშვილს, თუმცა ამის „გამოყვანას“ სცენის მოღვაწეს აღფრთოვანებული ოცნება თუ შეიძლებდა, ჩვენს „მითომ-და“ რეცენზიას, „თუ ცუდ განზრახვად არა, მოჩვენებად და ზმანებად მაინც“ სთვლის და „უსაფუძვლო და ურიგო ცილს“ უწოდებს.

უნდა მოგახსენოთ, რომ, ბ-ნ ნ. ავალიშვილის სამწუხაროდ, სულაც არ „გამოდის“ აგრე. ჯერ ერთი, რა ლოგიკაა, თქვენს ლხენას: ბ-ნი ავალიშვილი პირველში ამბობს, რომ მომღერალ არტისტებ შორის თუ ქ-ნ საფაროვის მეტოქედ ჩაითვლება ვინმე, ქ-ნ ძნელაძისა ჩაითვლებაო, და შემდეგ ჩვენვე გვიკიჟინებს, რად დაგვიწყდათ, რომ „ესენი (ქ-ნნი საფაროვისა და ძნელაძისა) ერთმანეთის მეტოქედ ვერ დაისახვენ თავს“... „სხვადა-სხვა რიგ ხელოვნებას მისდევენ, თავ-თავის საკუთარი სარბიელი აქვსთ მოქმედებისათვის და ერთმანეთს ადგილს ვერც წაართმევენ და ვერც დაიჭერენო“. ჯერ თითონვე გაუმეტოქა და ახლა ჩვენ გვისაყვედურებს, რად დაგავიწყდათ, რომ „ერთმანეთის მეტოქედ ვერ დაისახვენ თავსაო“. თქვენ რაღად დაგავიწყდათ, ბ-ნო ავალიშვილო, როდესაც ჩვენი ნათქვამი „გამოათეთრეთ“ და აგრე რად „გამოიყვანეთ“?!

ესეც არაფერი. ვსთქვათ, ბ-ნმა ავალიშვილმა გამოცანა გამოიცნო, ქ-ნ საფაროვისას ტაში დაუკრეს და ქ-ნ ძნელაძისას-კი დაუსტვინეს. განა მსტვენავ-მოტაშენი უეჭველად ქ-ნ საფაროვისას უნდა დაექირავებინა? განა არ შეიძლებოდა, ან ქ-ნ საფაროვის რომელსამე მეტად გატაცებულს თაყვანის-მცემელს გაეძრახებინა ხალხი და ან, თუნდა, ქ-ნ ძნელაძის მტერს? განა მაშინაც მავნე მოვლენად არ ჩაითვლებოდა და თეატრის ადმინისტრაცია ვალდებული არ იყო ყურადღება მიექცია ამ გარემოებისათვის?..

რასაკვირველია, შეიძლებოდა, ჩაითვლებოდა და ვალდებულიც იყო, მაგრამ ბ-ნს ავალიშვილს-კი სულ სხვა ფრად „გამოუთეთრებია“. ჩვენ წინადაც დარწმუნებულნი ვიყავით და ეხლაც დარწმუნებულნი ვართ, რომ ქ-ნი საფაროვისა მაგისთანა საზიზღარს საქციელს არ იკადრებდა და არც იკადრებს. დავარწმუნებთ კიდეც ბ-ნს ავალიშვილს, ქ-ნი საფაროვისა რომ მიგვეჩნია მსტვენავ-მოტაშეთა დამქირავებლად, არაფერს დავერიდებოდით და დავასახელებდით კიდეც. თუ ვსთქვით, „დარია ჭინჭურაძის მღერის დროსაო“, მხოლოდ იმიტომ-რომ დრო აღგვენიშნა, როდესაც შევნიშნეთ მსტვენავ-მოტაშეთა საქციელი.

ხოლო, ბ-ნ ავალიშვილის „გამოთეთრებას“ გარდა, თუ ბევრმა ისე განმარტა ჩვენის რეცენზიის ის ადგილი, რომ ვითომ ქ-ნ საფაროვისასა ვდებდით მსტვენავ-მოტაშეთა დაქირავების ბრალს, ამისი მიზეზი ჯერ თვით ქ-ნი საფაროვისაა და შემდეგ ბ-ნი ავალიშვილი. ქ-ნმა საფაროვისამ ჩაიდინა ის, რასაც არც ერთი თავ-მომწონე არტისტი-ქალი არ ჩაიდენდა და დიდ უხერხულობად ჩასთვლიდა. ქ-ნს ძნელაძისას საკონცერტო განყოფილებაში გამოცხადებული ჰქონდა სამღერლად ქართული სიმღერა „გულნარა“ და ქ-ნმა საფაროვისამ-კი ესევე სიმღერა ადრევე იმღერა, სწორედ იმ დროს, როდესაც ტაში დაუკრეს, თუმცა ფარსში, სულ ერთი იყო, რაც უნდა ემღერნა. თუ მაინცა და მაინც იმ სიმღერის მეტი არა იცოდა-რა, წინადვე იტყოდა და ქ-ნი ძნელაძისა სხვას იმღერებდა რასმე. ამ გვარად, ბ-ნ ავალიშვილისებურად რომ ვსთქვათ, „გამოვიდა“, რომ ქ-ნმა საფაროვისამ, დრამატიულ დასის არტისტ-ქალმა, მომღერლის სამღერელი ადრევე სთქვა და ამით, ჯერ ერთი, თითქოს მეტოქეობა გაუწია და, მეორე, სიახლე დაუკარგა ქ-ნ ძნელაძის სათქმელს, ერთი და იგივე განსამეორებელი გაჰხადა.

აი, ქ-ნის საფაროვის ეს უხერხულობა იყო მიზეზი, რომ ბევრმა ცუდად განმარტა ჩვენი წერილი. ბ-ნი ავალიშვილი, შვიდის ადლის ოდენა „პატარა შენიშვნების“ წერის მაგიერ, თავის მოვალეობაზედ რომ „თვალ-გაფაციცებულად და ყურ-ცქვიტად ყოფილიყო“, ვიმეორებთ იმისსავე სიტყვებს, და რეპეტიციის დროსვე აეხსნა ქ-ნ საფაროვისათვის ამ საქციელის უხერხულობა, მაშინ არც არავინ იფიქრებდა რასმე შეცდომით და არც თვით მოუხდებოდა ამ მოკლე (?) „პატარა შენიშვნის“ დაწერვა. დიაღ, ბ-ნო ავალიშვილო, თუ, როგორც ამბობთ, „ძვირად აფასებთ ქ-ნ ძნელაძის პირველს ნაბიჯს ქართულ ხელოვნების ასპარეზზედ“ და არ გინდათ, რომ იმას „ამ გზაზედ უსაფუძვლო და მოუფიქრებელმა ჭორებმა და მითქმა-მოთქმამ ცოტაოდნადაც არის გული გაუფუჭოს“, არც ეგ უხერხული და მოუფიქრებელი საქციელი უნდა ჩაგედინათ და ვინ იცის ვისი საზიზღარი საქმე სამგონიაოდ არ გაგეხადნათ.

ბ-ნი ავალიშვილი მაინც დამნაშავეს დაეძებს, ამისთვის ეტნოგრაფის წამოსასხამი წამოუსხავს, „ქანდარაზედ“ ასულა იქაურ მკვიდრთა ზნე-ჩვეულების შესასწავლად და მიზეზიც აღმოუჩენია. მერე, ვერ წარმოიდგენთ, რა უცნაური და ახირებული მიზეზია. ბ-ნი რეჟისორი ამტკიცებს, „ქანდარაზედ ჩვეულებად აქვთ სტვენით გამოხატვა (?) აღტაცებისაო“. ეს ადგილი წერილისა იმდენად სასაცილოა, რომ პასუხის, „გამოხატვა“-კი არა, დაწერვაც ვერ მოგვიხერხებია. ან რა პასუხი უნდა მისცეთ, როდესაც ვისმე დავდაყირა სიარულის ურიგობას შენიშნავთ, გამოვა მოსარჩლე და გიმტკიცებთ, „ქანდარაზედ“ ყველანი თავდაყირა დადიანო? ვარწმუნებთ ჩვენის დროის ზნე-ჩვეულების ახალს გამომკვლევს, რომ „ქანდარაზედაც“ ჩვენისთანავე ადამიანები არიან და სტვენა იქაც წუნის ნიშანია და ტაში—ქებისა. შეიძლება სადმე ზანგებსა და პაპუასებს შორის სტვენითაც გამოსთქვამდნენ აღტაცებას, მაგრამ ქართველებს-კი ეგ არცა გვქონია ჩვეულებად და ღმერთმა გვაშოროს კიდეც!..

რაც შეეხება იმისთანა სიტყვებს, როგორიც „ურიგო ცილია“, „ცუდი განზრახვა“, „არა-მკითხე, ჭორებით შეზავებული სარჩლი“ და აგრეთვე ის, რომ რაკი მანოელიძემ

> „რეცენზიებით ვერაფერი ყურადღება ვერ დაიმსახურა, იქნება კლაკიორების აღმოჩენით მაინც იმედოვნებდა ყურადღების დამსახურებას? ან იქნება ჰსურდა ქ-ნი ძნელაძისათვის გაეწია სამსახური, და აბა რით გაუწევდა, თუ არ დონ-კიხოტურად ქარის წისქვილებთან ბრძოლითაო“ და სხ.

ჯერ ერთი, ამ წერილიდგან აშკარადა სჩანს, ვინც ებრძვის დონ-კიხოტურად ქარის წისქვილებს, და, მეორე, ასეთი შეუფერებელი და უმართებულო სიტყვები პასუხის ღირსადა და საკადრისადაც არ მიგვაჩნია და უკანვე დაგვიბრუნებია ბ-ნ ავალიშვილისათვის.

სულ ბოლოს ბ-ნი რეჟისორი ასეთს რჩევა-დარიგებას გვიკითხავს:

> „ქართული თეატრის სპეციალი რეცენზიების მწერალი ვალდებულია იცოდეს, რომ ქართული თეატრი თავის განვითარებისათვის და ამ უხეირო დროში ფეხის მაგრა მოკიდებისათვის დახმარებას საჭიროებს, მოფიქრებულს, გონივრულს, ხოლო მითქმა-მოთქმა და აბდაუბდად, გაკვრა-გამოკვრით ლაპარაკი მტრობის მეტს ვერას გაუწევს იმას. დიაღ, ეს უნდა კარგად ახსოვდეს, რომ არავის ათქმევინოს: ღმერთო იხსენ ჩვენი თეატრი მანოელიძის მსგავსი მსაჯულებისაგანაო!“

მიგვიღია ეს დარიგება, ვეცდებით, თავი მოვაწონოთ ბ-ნს რეჟისორს, მხოლოდ ჩვენც ჩვენის მხრივ ვურჩევთ, რომ კარგს იზამს „სპეციალი“ რეჟისორი ქართულის თეატრისა, ხალხის ზნე-ჩვეულების გამოკვლევას თავს დაანებებდეს, თორემ თუ აღტაცების გამოსათქმელად ქართველს არტისტებს სცენაზედ ასტვენინა, სწორედ იმასვე ათქმევინებს ყველას; ღმერთო, დაიხსენ და დაიფარე ჩვენი თეატრი ბ-ნ ნ. ავალიშვილისთანა რეჟისორ-მასწავლებლებისაგანაო!..

დასასრულ ბოდიშს ვიხდით როგორც მკითხველებისა, ისე რედაქციის წინაშე, რომ ეს სხოლიო სწორედ „პატარა შენიშვნის“ საკადრისად გაგვიჭიანურდა.

მანოელიძე

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ოზურგეთი. პირველს ამ თთვისას ოზურგეთში თავად-აზნაურთა კრება იყო, რომელსაც უნდა აერჩია წინა-მძღოლი. წირვის შემდეგ მეკენჭეებმა დაიფიცეს და აქაურის კლუბის დარბაზში მოიყარეს თავი. კრებაზე გარეშე მაყურებელთა რიცხვიც აუარებელი იყო, რადგანაც ამ ბოლო ხანებში მეტი სალაპარაკო ჩვენში აღარაფერი ყოფილა, გარდა იმისა, თუ რომელი კანდიდატი გაიმარჯვებს ამ ხანგრძლივს და ბოლო მოუღებელს ჭიდილშიო. მკითხველებმა, რასაკვირველია, უწყიან, რომ წინამძღოლის თანამდებობაზე ორი კანდიდატი იყო გამოსული—გუგუნავა და მაჭუტაძე, რომელთაც თანასწორი კენჭი ერგოთ მაისის კრებაზე ქუთაისში და მის შემდეგ ამ გაუკუღმართებულის დროის მებრძოლნი დიდს მზადებასა და საზრებაში იყვნენ და ბრძოლის ვალის დათმობა არც ერთს არ უნდოდა. თუ ქვეყნის სიკეთე ედოთ გულში და ამის გამო იბრძოდნენ, რასაკვირველია, ეს კეთილშობილური და პატიოსნური ბრძოლაა, ხოლო თუ უბრალო თავმოყვარეობის გამო ჩაებნენ ამ უსიამოვნო ჭიდილში, ეს, რაღა თქმა უნდა, სამარცხვინო და სათაკილო ჭიდილია, რომელიც მეტის-მეტად ცუდი მაგალითია ხალხის ზნეობისათვის. ასე იყო თუ ისე, კრება გაიმართა. 106 მეკენჭეთაგან 82 გამოცხადდა. პირველად თავ-მჯდომარეობდა თავადი გუგუნავა, რომელმაც გამოაცხადა თუ არა კრება გაიხსნაო, თ-მა ვარლამ ერისთავმა შენიშნა: მაისის კრებაზე წარმოდგენილს რწმუნების ქაღალდზე რას ინებებ, იმავე ძალაში დაარჩენ თუ გამორიცხავო; ამაზედ თავს-მჯდომარემ უპასუხა, რომ ძველს რწმუნების ქაღალდებს იგივე ძალა აქვს, რაც ახლებს და გამორიცხვა არ შეიძლებაო. მე-კი იმ აზრისა ვარო, სთქვა ერისთავმა „რომ ძველი რწმუნების ქაღალდები მაისის კრებისათვის იყო წარმოდგენილი და მნიშვნელობაც მაშინ ჰქონდა, ხოლო ახლა ქრისტესშობისთვეა და მაშასადამე მაისის რწმუნების ქაღალდებიც ამ შემთხვევაში გამოუყენებელიაო. თუ არ გამორიცხავთ, ოქმში მაინც ჩასწერეთ, რაცა ვსთქვით, და მერმე კანონია და სამართალიო. არც ეს შეიძლებაო, უპასუხა თავ-მჯდომარემ. რატომ არ შეიძლებაო, ცხარობს ერისთავი, ეგ თქვენი თვითნებობაა, თუ კანონი მართმევს ამ უფლებასაო? აქ ერთი ხმაურობა ატყდა. მეკენჭეები ფეხზე წამოდგნენ. ზოგი იძახოდა „შეიძლებაო“, ზოგიც ყვიროდა „რა საჭიროა, არ შეიძლებაო“. ბოლოს ბ-ნმა გიორგი ბებურიშვილმა ურჩია თავ-მჯდომარეს, რომ ვარლამ ერისთავის შენიშვნა მოიხსენიეთ ოქმშიო, რაზედაც თავ-მჯდომარეც დაყაბულდა და გამოაცხადა, რომ რადგანაც მე კენჭი უნდა მიყაროთ, თავ-მჯდომარედ უნდა იქმნას ბ-ნი გიორგი ბებურიშვილი, რომელიც ჩინით ყველაზე მეტია ჩვენზეო. ამას შემდეგ ყუთი დაუდგეს გუგუნავასა და მაჭუტაძეს. ამ გვარად 1 საათსა და 35 წ. დაწყებული კრება 2 საათსა 50 წუთზე დაიშალა. არჩეულ იქმნა წინამძღოლად გუგუნავა, რომელმაც 47 თეთრი კენჭი მიიღო და 35 შავი.

კალამი

◆

სასამართლოს მატიანე

(არხიმანდრიტ ევგენიოზის მოკვლა თელავში).

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 261).

ბრალმდებელს შემდეგ ვექილმა დაიწყო ლაპარაკი. სთქვა, რომ ჩემის აზრით, ქრისტოდულომ იმდენად არ იცოდა ქართული ენა, რომ ებიტაშვილის გაძრახება შესძლებოდა. ქრისტოდულო ვერ დაითანხმებდა ებიტაშვილს, ამ საქმეში მონაწილეობა მიიღე, რადგანაც ქართული ენა, არამც თუ კარგად, არამედ სრულიად არ იცოდა, რამდენიმე სიტყვის გარდა, და ებიტაშვილის გაძრახებისათვის რამდენიმე სიტყვა არა კმარაო.

თუ ქრისტოდულომ მოკლა არხ. ევგენიოზი, მაშასადამე, სისხლი აღმოაჩნდებოდა სადმე, რადგანაც არხიმანდრიტის გვამი იატაკზე იყო გადმოგდებული, მხოლოდ მოკვლის შემდეგ, რასაც ადვილად დავამტკიცებ, ებიტაშვილის ნათქვამი, რომ ვითომ არხიმანდრიტებს შორის უსიამოვნება ხშირი იყოვო, ნამდვილი არ არის, რადგანაც ებიტაშვილმა, ბერძნული ენა არ იცოდა და ამისათვის ვერ შეამცნევდა, თუ რის შესახებ ლაპარაკობდნენ არხიმანდრიტები, მით უფრო, რომ არხ. ევგენიოზს ხმა მაღლა ლაპარაკი და ხელების ქნევა ჩვეულებადა ჰქონდა. ამ გარემოებას მოწმეების ჩვენებაც ამტკიცებს. ათი თუმანი არც ისეთი დიდი ფულია, რომ ებიტაშვილი ამ ფულით შეესყიდნოთ. ნიფონი რომ დამნაშავე იყოს, მაშინ სულ სხვას იტყოდა ებიტაშვილთან და დამოკიდებულების შესახებ მოიგონებდა, რომ მას ჩვენ შორის უსიამოვნება იყო და იმიტომ აბრალებს არხ. ევგენიოზის მკვლელობასაო, ნიფონმა-კი გულწრფელად აღიარა, რომ არავითარი უსიამოვნობა არა მქონია ებიტაშვილთანაო. ამ გარემოებას, ჩემის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს. არხიმანდრიტებს შორის საძიებელი არა ჰქონიათ-რა, მხოლოდ მცირე უსია-

მოვნობა ჰქონიათ, რომელიც იმას გამოუწვევია, რომ არხ. ევგენიოზი მამულებს არ აბარებდა ნიფონს და რომ ევგენიოზი ცუდის ხასიათისა ყოფილა. ევგენიოზი ძალიან გულ-ფიცხი კაცი იყო თურმე, ყვირილი უყვარდა და სხვ. მაგრამ ამ უსიამოვნობასაც ბოლო მოჰღებია და არხიმანდრიტები მორიგებულან, ასე რომ არხ. ევგენიოზს შემოსავლიდგან ორი წილი უნდა მიეღო და ნიფონს-კი ერთი. ეს მორიგება მკვლელობის წინა დღეს მოხდა და ამისათვის ნიფონს მიზეზი არა ჰქონდა-რა, შური ეძიებინა. ნიფონი რომ დამნაშავე იყოს, რასაკვირველია, გააუქმებდა წერილების ასლებს, რომელიც ბრალმდებელისათვის საბუთად არის გამოსაყენებელი, მით უმეტეს, რომ კარგად იცოდა, ებიტაშვილი იმას აბრალებდა არხ. ევგენიოზის მკვლელობას. ესეც ამტკიცებს, რომ ნიფონი ამ საქმეში არა რეულა. ნიფონი თავისს დღეში არ მიენდებოდა ებიტაშვილს, ამ უცხო კაცს, რომელსაც შეეძლო ყოველს წამს იმისი გაცემა. ბრალმდებელი ამბობს, რომ არხ. ევგენიოზის ქონებიდან არაფერი არ არის წაღებულიო. პირ-იქით, უფრო საფიქრებელია, რომ წაღებულია, რადგან არხ. ევგენიოზი ფულს, როგორც აღმოჩნდა, ბალიშს ქვეშ ინახავდა თურმე და გვამი-კი გადმოგდებული იყო. მოკვლის შემდეგ, იატაკზე იქნება იმისთვისაც გადმოაგდეს, რომ ფული გამოეცალათ. რაიცა შეეხება იმას, რომ პორტფელში შენახული ფული ისევე დაუნარჩუნებიათ, ამის მიზეზი ის თუა, რომ მკვლელი, რომელსაც ეშინოდა, არ შემამჩნიონო, ყოველს ნივთს თითოეულად არ გადასინჯავდა. ვინ იცის, იქნება არხიმანდრიტს კიდევ სხვა ფული ჰქონდა და სწორედ ის ფულია წაღებული მკვლელის მიერო. რაც შეეხება ოქროებს, პარკში იყო შეხვეული და ყუთის ძირში ეყარაო და საკვირველი არ არის, რომ მკვლელს ხელში არ მოხვედრია. თუ რომ ებიტაშვილისათვის ათი თუმანი დიდი ფულია, განა არ დახარბდებოდა უფრო დიდ-ძალს ფულს ევგენიოზისას და ამის გამო მკვლელობას-კი მოერიდებოდა? ვინ იცის, იქნება სხვაც გააზრახა ამ მკვლელობისათვის. რაც შეეხება იმას, რომ არხიმანდრიტი ნიფონის ყოფნაში ზემოხოდაშენში სულ ერთხელ ყოფილა ეკლესიაშიო, ეს საკვირველი არ არის, რადგანაც ბერი ყოველთვის განცალკევებულს ცხოვრებას არის დაჩვეული და თავისავე სენაკში ლოცულობს. თუ დაუკვირდებოდით იმისს ოთახს, შეამჩნევდით, რომ იმის ოთახში ხატები ეწყო. არც პოლიციისა და არც გამომძიებლის მიერ არ არის გამოკვლეული, ვინ იყვნენ ის მეალილოენი, რომელნიც მკვლელობის ღამეს მივიდნენ არხ. ევგენიოზის სახლში და რომლებიც ებიტაშვილს გაუსტუმრებია. ამისი შეტყობა საქმეს სხვა ხასიათს დასდებდა და სიმართლის შუქს მიჰფენდაო. შემდეგ ამისა ვექილმა კიდევ ბევრი ილაპარაკა და თავისი სიტყვა იმით დაამთავრა, რომ თქვენს წინაშე იმისთანა კაცია, რომლის წინააღმდეგ უნდა ნამდვილი, დაჰეშმარიტებული საბუთები გქონდეთ, რომ არამც თუ დამნაშავედ იცნოთ, არამედ დამნაშავის ადგილას მაინც ამყოფოთ მცირე ხანსაო.

სასამართლომ, როგორც მკითხველებმაც უწყიან, არხიმანდრიტი ნიფონი და ქრისტოდულო გაამართლა, ხოლო ებიტაშვილს თორმეტის წლით ციმბირში გაგზავნა განუჩინა.

◆

პეტერბურგის ბირჟა, 5 დეკემბერი

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	8, 12	8, 16	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	163	163½	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1, 19	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	240
—მეორისა	— ,,	— ,,	220
—მესამისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . . , .	200	— ,,	201
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:	— ,,	— ,,	— ,,
6%	— ,,	— ,,	— ,,
5%	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა . .	— ,,	— ,,	— ,,
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

მიმოსვლა ცეცხლის გემებისაშავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე ზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საagენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც იუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

განცხადებანი

ისყიდება

„ბაქოს მოავეჯებულს ოთახებში“ ახლად მოყვანილი ტიროლის და სხვ. კარგად მგალობელი კანარეიკები.

(3—1)

ტფილისის ნერსესიანთა სასულიერო სემინარიის სამზრუნველოში

18 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, მოხდება საჯარო ვაჭრობა (განუმეორებლად) იჯარით გასაცემად ერთის დუქნისა ერთის ოთახით, რომელიც იმყოფება თელეთის სომეხთა ეკლესიასთან. პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოში, ყოველ დღე, დილის 11—12 საათზე, კვირა-უქმეების გარდა.

(3—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

	მან.	კაპ.
ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი	„	40
ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . .	„	40
თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. .	1	20
იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე	2	50
სამივე ტომი. . . .	7	„
სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა	1	20
თხზულებანი ი. დავითაშვილისა	„	80
მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა	„	20
წყალობა პოემა მისივე .	„	20
სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა	„	25
თამარ, სპარსული ლეგენდა	„	10
დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა.	„	15
ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. .	„	50
სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . .	„	30
ნაქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა	„	50
თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა .	1	„
კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე	„	20
პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე .	„	50
საყმაწვილო ამბები მისივე	„	40
ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა.	„	25
თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი	„	50
თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა	„	60
თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ.	„	40
ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა	„	30
ოტელლო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . .	„	50
ძუნწი, საყმ წ. სურათ. წიგნი შ. მღვიმელისა .	„	15
მეფე ლირი შექსპირისა, თარგმანი ი. ჭავჭავაძასა და ი. მაჩაბლისა . .	„	60

აბრეშუმის თესლეულობა

ძმ. პასხალიდებისა

ბრუსსაში (ოსმალეთში)

ცელლიულიარული გრენა (აბრეშუმის ჭიის თესლი) ძმ. პასხალიდებისა

როგორც კავკასიის ბევრმა აბრეშუმის მაწარმოებელმა უწყის, ეს თესლი დიდად საღია და თითო მისხალი 35 გირვანქამდე შეუმუშავებელს თეთრს პარკს იძლევა. ისყიდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში და საბრეშუმო, სადგურში მუშტაიდში, დაბეჭდილის ოთხ-კუთხის ყუთებითა და თითოში რვა-რვა მისხალი თესლია; თითო მისხალი ჰღირს 75 კაპ. ვისაც ბლომად ჰსურს აბრეშუმის ჭიის თესლის ყიდვა, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 119, ძმათ პასხალიდებს. (6—2)

ქ. ტფილისში

ახლად მივიღეთ ქალისა და კაცის ევროპიულისა და ქართულის ტანისამოსისათვის კავკავისა და ქუთაისის ხელოვნების

შალ-აბრეშუმი

და წმინდა შალები საინტერესო ფერებისა.

არწრუნისეული ქარვასლა, მარცხნივ გალერეაში, № 114. საქონელი უფრო იაფად ისყიდება, ვიდრე სხვაგან. შამკერავიც იქვე ახლო იმოვება ყველანაირი.

(3—2) თავადი დ. ლორთქიფანიძე

„სარპინის ნაქსოვთა სამრეწველო ამხანაგობა“ სარატოვში

სეზონი 1892 წლისა—სარპინკა—სეზონი 1892 წლისა

ხელის საფეიქროსი, საკუთრად ამ ამხანაგობის ნაკეთობა პარიჟის უკანასკნელ მოდის ნიმუშების თანახმად.

ახალი—„სარპინკა-რელიეფი“—ნაქსოვი

ისყიდება მთელის ცალობითა და ადლობით, იგზნება რუსეთის ყოველს ქალაქში. ნიმუშები საუცხოო ალბომით გაეგზავნება ყველას, ვინც 42 კაპ. წარმოადგენს ფოსტის მარკებით; მიწერ-მოწერა რუსულს ენაზედ უნდა იყოს.

ადრესი: *Саратовъ—Товариществу Сарпинокъ.*

(10—3)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თთვით. . . .	10 მ.—კ.	6 თთვით	6 მ.—კ.
11 ,, ...	9 ,, 50,,	5 ,, ...	5 ,, 50,,
10 ,, ...	8 ,, 75,,	4 ,, ...	4 ,, 75,,
9 ,, ...	8 ,, —,,	3 ,, ...	3 ,, 50,,
8 ,, ...	7 ,, 25,,	2 ,, ...	2 ,, 75,,
7 ,, ...	6 ,, 50,,	1 ,, ...	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებშ № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 10-го Декабря 1891 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.